პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 ხუთშაბათი 26 ივნისი № 149 (16275) ფასი 2 კაპ. 1975

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

## მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

# მეტი და მაღალხარისხოვანი საკვები!

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება საკვების დამზადების შესახებ.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საკვების დამზადებაში დადგა პასუხსაგები დღეები, რომლებიც მოითხოვენ ნაყოფიერ მუშაობას, განსაკუთრებულ სიზუსტესა და ორგანიზებულობას. პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უნდა გაშალონ და სათავეში ჩაუდგნენ მასობრივ და ქმედით სოციალისტურ შეჯიბრებას საკვების მაქსიმალური მარაგის შექმნისათვის. უზრუნველყონ საწარმოო კოლექტივების, კომუნისტების, კომკავშირელების, ახალგაზრდობის, მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის დარაზმვა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებისათვის. უნდა მოაგვარონ მექანიზებული ბრიგადებისა და რგოლების შეუფერხებელი მუშაობა, ამასთან გამოიყენონ საკვების დამზადების პროგრესული მეთოდები, ყოველნაირად გამოიყენონ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომითი აქტივობის ამაღლების არსებული ფორმები და მეთოდები, ოპერატიულად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, მტკიცედ იბრძოლონ მოსავლის დანაკარგებს.

მთელი მოსავალი ავიღოთ მინდვრებიდან, მდელოებიდან და სათიბად გამოსადეგი ნაკვეთებიდან — ამ დევიზით უნდა მიმდინარეობდეს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ულრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა 1975-1976 წლებში საკვებზე მეცხოველეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფას და პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო (ქალაქ. ტყიბულის, ჭიათურის) და რაიონულ კომიტეტებს შეიმუშაონ და განახორციელონ სასწრაფო და საჭირო ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მოსაგვარებლად, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მაღალხარისხოვანი საკვების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, მის საჯაროობას, შედეგების შედარებითობას, მოწინავე გამოცდილების გავრცელების შესაძლებლობას, საუკეთესო მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების პრინციპების სწორად გამოყენებას.

საკვებში ცილების ნაკლებობის გამო უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი ტონა სილოსი არ ჩაიდოს შარდოვანას დაუმატებლად. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" დაევალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს 2 000 ტონა შარდოვანა და მისი განაწილებით უზრუნველყოს ორი კვირის ვადაში — სილოსის ჩადების დაწყებამდე შარდოვანას მიტანა თვითეულ მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საბჭოთა კავშირის კომბინირებული საკვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან ერთად 15 დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს მეურნეობანი რეკომენდაციებით სილოსის დამზადებისათვის შარდოვანას გამოყენების შესახებ, ივლისში მოაწყოს სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა ზონალური სემინარები სილოსის დამზადებაში შარდოვანას გამოყენების საკითხებზე.

ერთობლივ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ „1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის დადგენილებით დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. აქედან: მაღალხარისხოვანი საკვების დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ რაიონს გარდამავალი წითელი დროშა და 5 ათასი მანეთი ფულადი პრემია. კოლმეურნეობებს მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის — ორი გარდამავალი წითელი დროშა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს — ერთი გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები პრემიების იმ შკალის შესაბამისად, რომელიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით.

ამასთან ერთად სანაწვერალო კულტურების წარმოებაში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების დაჯილდოებისათვის დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მშრომელთა დეპუტატების იმ სასოფლო და სადაბო საბჭოების დასაჯილდოებლად, რომლებიც ჩაებნენ საკვების წარმოებისა და დამზადების მოწყობაში და სანაწვერალო და შორისული კულტურების მოვლა-მოყვანაში დახმარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა.

მიღებულია ცნობად, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დამატებით დააწესა: 15 საპატიო დიპლომი ფასიანი საჩუქრებით (მოტოციკლები, ტელევიზორები, მაცივრები, მაგნიტოფონები და სხვ.) იმ განყოფილებების კოლექტივების, საწარმოო და სატრაქტორო ბრიგადებისა და რგოლების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებაში; 35 საპატიო დიპლომი ფასიანი საჩუქრებით (ტრანზისტორული მიმღებები, ფოტოაპარატები, საათები და სხვ.). საკვების წარმოების მოწინავეთა წასახალისებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს, რომ, იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ სანაწვერალო კულტურების წარმოებაში, ურიგოდ მიეყიდებათ 10 სატვირთო ავტომანქანა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა 1976 წლის იანვარში ამდენი მანქანა გამოუყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პროფსაბჭომ მეურნეობათა ხელმძღვანელების, განყოფილებათა გამგეების, ბრიგადირების, მერგოლეურებისა და საკვების წარმოების მოწინავეთა ინდივიდუალური წახალისებისათვის დააწესა 150 საპატიო დიპლომი და უფასო ტურისტული და დასასვენებელი სახლის საგზურები.

დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა სამახსოვრო პრიზები და ვიმპელები საუკეთესო საკვებმომპოვებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ საპატიო დიპლომებით დაჯილდოებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ურიგოდ მიჰყიდონ მსუბუქი ავტომობილები. ამასთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობას დაევალა შესაბამისი მითითება მისცეს რაიკოოპკავშირებს.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა ფართოდ გააშუქონ საკვების დამზადების საკითხები, გააანალიზონ და პოპულარიზაცია გაუწიონ ამ დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში საუკეთესო ბრიგადებისა და მეურნეობების გამოცდილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა ორ კვირაში გამოსცეს საკვების წარმოების საგიტაციო პლაკატები და მცოხნავი პირუტყვის საკვებში შარდოვანასა და სხვა სინთეზურ აზოტოვან ნივთიერებათა გამოყენების რეკომენდაციები. (საქინფორმი).

## საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

**ფართოდ** გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა ვადამდე — 25 ივნისს შეასრულეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის საწარმოების — გაერთიანება „ელექტროაპარატის", ქარხანა „ელექტროიზოლიტის", ორჯონიკიძის სახელობის, „ამირანის", პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, გაერთიანება „თბილღვინოს", კონიაკის ქარხნის, შამპანური ღვინის ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, ცხიმკომბინატის; რუსთავის საწარმოების — მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ქიმიური კომბინატის; ქუთაისის საწარმოების — საავტომობილო ქარხნის, კომბინატ „საქქვანახშირის", ლითოფონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების; ბათუმის საწარმოების — მანქანათსაშენებლო ქარხნის, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, სამკერვალო საწარმოო გაერთიანების; „ჭიათურმანგანუმის" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

## არის ნახევარი წლის გეგმა!

**ფართოდ** გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელი წლის ვადამდე შესრულებისათვის თბილისის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 25 ივნისს, გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა და იკისრეს ვალდებულება თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე მილიონი მანეთის სხვადასხვა ნაწარმი.

გეგმის ვადამდე შესრულებაში თავი ისახელეს გაერთიანებების „ელექტროაპარატისა" და „თბილღვინოს", კონიაკის, „ელექტროიზოლიტის" ქარხნების, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის სახელობის, „ამირანის" სამკერვალო ფაბრიკების, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ცხიმკომბინატის, ჩაისსაწონი ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

### ხუთწლედის მოწინავენი



## მუშაობენ 1978 წლის ანგარიშში

**ბათუმის** მანქანათმშენებელ ქარხანაში სულ უფრო ფართოვდება შეჯიბრება პარტიის XXV ყრილობის სახელობის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის. ხარატი ვლადიმერ დოლიძე ემზადება იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას შეხვდეს ახალი შრომითი საჩუქრებით. იგი სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი იყო, არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მოწინავე მუშამ პირადი ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულა. მასთან ერთად ხუთწლედი შეასრულა ხარატმა ვიქტორ კრივშენკომ. ახლა ისინი 1978 წლის ანგარიშში შრომობენ. დადგნენ რა მომავალი ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე, მათ ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე დარჩენილ დროში კიდევ ერთი წლის გეგმა შეასრულონ.

სურათზე: ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ხარატები ვლადიმერ დოლიძე (მარცხნივ) და ვიქტორ კრივშენკო.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს

**ნება** გვიბოძეთ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, დროებითი რევოლუციური მთავრობის სახელით და პირადად გულწრფელი მადლობა გიძღვნით თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მთავრობასა და ხალხს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის 6 წლისთავის მხურვალე მილოცვისათვის.

ვსარგებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობასა და ხალხს დიდი და ეფექტიანი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომლებსაც ისინი უწევდნენ სამხრეთვიეტნამელ ხალხს სამშობლოს ხსნისათვის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ვიეტნამელი ხალხის ამჟამინდელი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის ომის შედეგების დაძლევაში, სამშობლოს უსწრაფესი გაერთიანების პირობების შექმნის მიზნით ქვეყნის აღდგენისა და მშენებლობის საქმეში.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს სამხრეთ ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა და საბრძოლო სოლიდარობა!

**ნგუენ ჰიუ თხო,**
სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

**ჰიუინ ტან ფატი,**
სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## „სალუტ-4" ფრენის სადაგი დღეები

**ფრენის მართვის ცენტრი.** 25 ივნისი. (საქტასი). „სალუტ-4" ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა დასახული პროგრამით მიმდინარეობს. 24 ივნისს კოსმონავტები პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი ეწეოდნენ ცალკეულ სისტემათა პროფილაქტიკურ შემოწმებას, სადგურის სასამსახურო და სამეცნიერო აპარატურის რეგულირებას, სისტემაში მოჰყავდათ ჩატარებული კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგები. ისვენებდნენ.

25 ივნისის სამუშაო დღე მიეძღვნა დედამიწის ზედაპირის გამოკვლევას. ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის სხვადასხვა ზონას იღებდნენ უკრაინის, ვოლგისპირეთის, ყაზახეთის, შუა აზიის რაიონებზე გადაფრენისას.

სადგურში გრძელდება ბიოლოგიური ექსპერიმენტები. კოსმონავტები აღრიცხავენ სპეციალურ თერმოსტატებში მოთავსებული მწერების განვითარების თავისებურებებს, არეგულირებენ უმაღლეს მცენარეთა ბლოკის მუშაობას, პერიოდულად იღებენ მათს ფოტოსურათებს.

ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ.

მუშაობა „სალუტ-4" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში გრძელდება.

## საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

**საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1975 წლის 27 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 26 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 1, № 4. ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19, 99-56-19.

27 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1975 წლის 27 ივნისს დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

## 28—29 ივნისს სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერება

**ტრადიციად** იქცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობა. წლეულს 28-29 ივნისს შემოწმდება თუ რა მდგომარეობაშია სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სათოხნი კულტურების მოვლა-დამუშავება. საჭიროა მივიღოთ ქმედითი ზომები, ამ კულტურების დამუშავების ტემპის გასაძლიერებლად. დათვალიერება გამოავლენს მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს. დაისახება ღონისძიებანი აღნიშნულ კულტურების მოვლა-დამუშავებაში არსებული ნაკლოვანებების სწრაფად გამოსწორებისათვის.

გვახსოვდეს, რომ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სიმინდის, კარტოფილისა და სხვა სათოხნი კულტურების მოსავლიანობის გეგმა-ვალდებულება უთუოდ უნდა შესრულდეს.

## ჩხოროწყუელთა ყანებში

**ხაშუსხოო** სიმინდის ყანები აქვს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს" (თავმჯდომარე შ. ბერაძე). ფართობებს რომ ვათვალიერებდით, ჩვენი ყურადღება მიიქცია ხობისწყლისპირა, ლეფირცხელებ-უბნის ყანებმა.

კოლმეურნეებს მხარს უსწორებენ მასწავლებლები. მასწავლებელ მ. შონიაძეს 4.500 კვადრატული მეტრი ყანა აქვს გაპიროვნებული. მის ნაკვეთში იმ დროს მივედით, როცა ცხენის კულტივატორით მეორედ ამუშავებდა ნათესს. ამ სოფელში კარგ მესიმინდეებად ითვლებიან მასწავლებელი ქ. შონიაძე, ჟ. ცირდავა, ჯ. ჯალაღანია, გ. ლემონჯავა, ი. შონიაძე და სხვები. ზუმელები 117 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდისათვის იბრძვიან. ამისათვის მომარაგებული აქვთ მინერალური და ორგანული სასუქები.

ზუმში მიწები კარგია და ესეც უწყობს ხელს საქმის წარმატებას, მაგრამ სულ სხვა სურათია მთიანი ზონის სოფელ ჯირხში: ვიყავით სკკპ XX პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. კვარაცხელია) აქაური მიწები მწირია და დიდი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ სიმინდმა კარგად იხაროს.

ამ სოფელშიც ბევრი კარგი მესიმინდეა და ისინი ყოველწლიურად უხვ მოსავალს ღებულობენ, მაგრამ წლეულს ზოგიერთს დაუგვიანდა ნათესის დამუშავება. მაგალითად, ტ. ჩახაიამ მხოლოდ 10 ივნისს შეუდგა მიჩენილი ნაკვეთის პირველ თოხნას.

სიმინდის ნათესების ერთი ნაწილი გაუთოხნავია ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ხორავა). ნათესებს დიდი ზიანი მიაყენა უკანასკნელ დროს აქ დამდგარმა გვალვებმა. მით უმეტეს ამიტომ არის საჭირო სიმინდს მოაშორონ სარეველები, ყანა ფხვიერი იყოს, სინესტე შეინარჩუნოს.

ნათესების დამუშავების ტემპი უნდა დაჩქარდეს ახუთის, ლეწურწუმის, ნაფიჩხოვოს, დაბა ჩხოროწყუს და ხარაქონის კოლმეურნეობებში. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, სოციალისტური შეჯიბრების შედეგიანობის ამაღლებას.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## გუშინ თავი ისახელეს

### პურეულის მკაში

**თელავის** რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა მოსავლის აღება დაიწყეს. მასობრივად დაწინაურდა კომბაინერი რ. ხუმბაძე. მან ერთ დღეს მომკა 10 ჰექტარი პურის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 23 ცენტნერი მარცვალი. კურდღელაურის კოლმეურნეობის კომბაინერმა ი. მესტვირიშვილმა ქერის მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე და გალეწა 24 ცენტნერი მარცვალი.

**წითელწყაროს** რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის კომბაინერმა მ. სუხაშვილმა ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე და გალეწა 24 ცენტნერი მარცვალი. ქვემო ქედის კოლმეურნეობაში კომბაინერმა მ. დიდებაშვილმა აიღო 14 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი.

**საგარეჯოს** რაიონის ნინოწმინდის კოლმეურნეობის მექანიზატორი ტ. ივანიშვილი შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს. მან ერთ დღეს აიღო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 12 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 22 ცენტნერი მარცვალი.

### ჩაის კრეფაში

**შეჯიბრების** ინიციატორები — გეგეჭკორის რაიონის მეჩაიეები დღითიდღე აძლიერებენ ჩაის კრეფის ტემპს. გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ასობით მეჩაიე დაწინაურდა.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზატორმა ა. ბოროზიამ ერთ დღეს მანქანით მოკრიფა 800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო მ. ერქვანიამ — 730 კილოგრამი.

ამავე სოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მ. კოლასონიამ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. დღეში 60-70 კილოგრამს კრეფენ ნ. ბაბუა, თ. კოკაია, ვ. ჯანაშია. თვითეულმა ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე წლეულს მიიღოს 6.200 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

### მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ სამორა მოიზეს მაშელს

ლორენსუ-მარკიში

**მოზამბიკის** დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით თქვენ, მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის ცენტრალურ კომიტეტსა და მთელ მოზამბიკელ ხალხს გულითადად გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, პროგრესისა და ეროვნული აღორძინების პირობებში ახალი ცხოვრების ასაშენებლად.

თავდადებულ ანტიკოლონიურ ბრძოლაში მოზამბიკელი ხალხის გამარჯვება, რომელიც მან მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელობითა და პორტუგალიის დემოკრატიული, ანტიფაშისტური მოძრაობის, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების მხარდაჭერით მოიპოვა, დიდი წვლილია აფრიკელი ხალხების ეროვნული განთავისუფლების საქმეში. ეს არის ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი აფრიკაში კოლონიალიზმისა და რასიზმის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციის გზაზე.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად გამოდიოდა მებრძოლი მოზამბიკელი ხალხის მხარეზე და უწევდა ყოველნაირ დახმარებასა და მხარდაჭერას. ამ ისტორიულ დღეს საბჭოთა ხალხი ულოცავს მოზამბიკელ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე დადგომას.

მშვიდობისმოყვარე ლენინური საგარეო პოლიტიკის შესაბამისად საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ ცნობს მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ადასტურებს, რომ მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაუცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე.

გამოვთქვამ იმედს, რომ საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც მოზამბიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მძიმე წლებში დამყარდა, კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ორივე ხალხის საკეთილდღეოდ, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

**ნ. პოდგორნი.**

## ბელგიელი საპატიო სტუმრები მოსკოვში

**24 ივნისს** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში ბელგიელთა მეფეს ბოდუენს წარუდგინეს სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საღამოს მეფე ბოდუენმა და დედოფალმა ფაბიოლამ კრემლის ყრილობათა სასახლეში ნახეს ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა".

ბელგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ მთავრობის ლოჟაში საპატიო სტუმრებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ვადერი, სხვა ოფიციალური პირნი.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულდა ბელგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

იმავე დღეს მეფე-დედოფალი გაემგზავრნენ მოსკოვისახლო ძველ ქალაქ ზაგორსკში. (საქტასი).

## სსრ კავშირში ვ. ბრანდტის ვიზიტის შესახებ

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი საბჭოთა კავშირში ვიზიტით ჩამოვა ამა წლის 2 ივლისს. (საქტასი).

## ფრინავს „კოსმოს-745"

**1975 წლის** 24 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-745".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქტასი).



# ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას

ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში დიდი და ხალისიანი შრომის მღელვარე დღეებია. ცნობამ ჩვენი პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ კიდევ უფრო ფართო გაქანება მისცა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას.

**სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას — ეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა.**

გუშინ „კომუნისტის" კორესპონდენტი ადგილებზე ეწვია თბილისის რამდენიმე საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას და მათ ხელმძღვანელებს სთხოვა მოეთხროთ, თუ როგორ ემზადებიან პარტიის XXV ყრილობისათვის. ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ საუბრებს.

# ასე ვემზადებით

## 1. ჩვენი სამი მთავარი საზრუნავი

სააქვეყნოდ ცნობილი უძველესი საწარმოს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელოვანი შრომითი და რევოლუციური ტრადიციები, რასაც პატივს სცემენ, უფრთხილდებიან, ამრავლებენ აქ დღეს მომუშავე თაობები.

ისეთი მასშტაბური და რთული ამოცანების გადაჭრაში, რაც ქარხნის გენერალურ რეკონსტრუქციასთან არის დაკავშირებული, მუდმივად ვგრძნობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუდმივ ქმედით დახმარებას. ამ პირობებში მოქნილობას იჩენს ქარხნის შრომითი კოლექტივი და მისი ავანგარდი — პარტიული ორგანიზაცია. ამას ცხადყოფს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ გასული წელი, როცა შრომის ნაყოფიერება 4,4 პროცენტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. უფრო მეტ წარმატებას მოველით წლეულს: განზრახული გვაქვს შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 9 პროცენტით 1974 წელთან შედარებით. სიტყვას რომ არ გავტეხთ, ამას ადასტურებს ქარხნის მუშაობის ხუთი თვის შედეგები, როცა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 104,3 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება — 102,8 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 1 სამგზავრო ვაგონი, 24 წევის ძრავი, აგრეთვე თუჯის სხმული, ნაჭედი და სხვ.

პარტიამ ჩვენს წინაშე დააყენა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა. ეს კი ნიშნავს უფრო ეფექტურად ვაწარმოოთ საქმე ყოველ უბანზე, ფართო გზა მივცეთ ყოველივე პროგრესულს, ვიმუშაოთ ახლებურად, შემოქმედებითად.

ჩვენი ქარხნის დღევანდელი ცხოვრება მდიდარია ფაქტებითა და მოვლენებით, რომლებიც მთელი თავისი სისრულით გვიჩვენებს მშრომელთა მაღალ საზოგადოებრივ შეგნებას. და რამდენად გულსახარია, რომ ქარხნის ყოველ უბანზე კომუნისტებისაგან იღებენ მაგალითს. რომელი საწარმო არ იამაყებდა ისეთი სახელებით, როგორიც არის, მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირი, მჭედელი კ. ილურიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხარატი გ. გაჩეჩილაძე, მუშა ზ. ფირცხალაიშვილი და სხვები. ქარხანაში ტრადიციად გადაიქცა ახალგაზრდებისათვის კომკავშირული ბილეთების გადაცემა იმ დაზგასთან, რომელზეც მ. ი. კალინინი მუშაობდა.

ქარხნის ყოველ უბანზე კომუნისტებისაგან იღებენ მაგალითს. და ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ყოველი მეორე მშრომელი კომუნისტია. 14 საამქრო პარტორგანიზაციასა და 32 პარტჯგუფში გაერთიანებული ეს დიდი ძალა საშუალებას გვაძლევს საამქროებსა და ბრიგადებში ყოველდღიურად განვახორციელოთ პარტიული გავლენა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. აღსანიშნავია, რომ კომუნისტური შრომის სახელს ატარებს ხუთი საამქრო, 2 სახელოსნო და 28 ბრიგადა. ხოლო ვინ მოთვლის კომუნისტური შრომის დამკვრელებს და ამ სახელისათვის მებრძოლ ადამიანებს! იდეური რწმენის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მუშათა 90 პროცენტმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედი.

კომუნისტთა აქტივობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ, რამაც ჩვენთანაც მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით ჩაიარა.

მაგრამ როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ გვავიწყდება ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და გამოუყენებელი შესაძლებლობანი. ქარხანაში დღემდე აღმოფხვრილი არ არის კადრების დენადობა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ბოლო დრომდე სუსტად გვქონდა დაყენებული თვითკონტროლი, რის გამო სამართლიანად გაგვაკრიტიკეს საქარხნო პარტიულ კონფერენციაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენი მუშაობის სამოქმედო პროგრამად იქცა. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გავაძლიერეთ შესრულების შემოწმება და კონტროლი. მთელ მუშაობას საფუძვლად დავუდეთ მიცემულ დავალებათა, მათი შემოწმების ვადებისა და შემსრულებელთა კონკრეტიზაცია.

პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად მშრომელებმა იკისრეს წლეულს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 180 ათასი მანეთის პროდუქცია და ამით თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის მიერ მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საქმეში.

**ჯ. ვეფხვაძე,**
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

## 2. ყველა კომუნისტის ძალ-ღონით

პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრა — აი დღეს ჩვენი საზრუნავი. სწორედ აქეთკენ არის მიმართული ყველა ჩვენი ღონისძიება. ყოველ თათბირზე, კრებაზე თუ ადამიანებთან უშუალო კონტაქტების დროს იგრძნობა საქმიანი, ძალიან მომთხოვნი ტონი. ეს გასაგებიც არის: ჩვენ ხომ საპატიო ვალდებულებანი ვიკისრეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად! მშრომელთა პირობაა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 1 მილიონ 600 ათასი მანეთის პროდუქცია. სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ქემაშვილის ბრიგადა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულებს 1976 წლის პირველი კვარტალის გეგმას, ხოლო საქსოვი წარმოების თინა ისებიძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა — ორი თვის დავალებას.

5 თვის შედეგები დამაიმედებელია, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა განაღდებულია 100,3 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება კი — 100,4 პროცენტით.

კომუნისტები წინ! ასე ესმით თავიანთი ამოცანა მიმდინარე ეტაპზე ჩვენი პარტორგანიზაციის კომუნისტებს, რომელთა რიცხვი ხუთასს აღწევს. ისინი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე იღვწიან. ასე რომ მათ პარტიული გავლენის ყველა შესაძლებლობა აქვთ და იყენებენ კიდეც, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ადამიანებს. განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნისტთა ინიციატივა და პერსონალური პასუხისმგებლობა უკანასკნელ ხანებში. ეს ჩანს მათს შრომითს და საზოგადოებრივ აქტივობაში, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მაღალ მომთხოვნელობაში. კომუნისტები კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს თამამად გამოთქვამენ საწარმოო თათბირებზე, მუშა-მოსამსახურეთა და პარტიულ კრებებზე, პარტიული კომიტეტისა და პარტბიუროების სხდომებზე, ხელმძღვანელ მუშაკებთან უშუალო შეხვედრებზე. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შრომით კოლექტივში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას, სოციალისტური საზოგადოების ანტიპოდებისა და ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას.

მეორე წელია კომბინატმა ჩამორჩენას თავი დააღწია და აღმავლობას განიცდის. შარშან პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 27 დეკემბრისათვის შესრულდა და გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 1 მილიონ 551 ათასი მანეთის პროდუქცია. გადამეტებით იქნა განაღდებული მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალებანი.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია უკლებლივ ყველა ბრიგადა, ცვლა, საამქრო, წარმოება და მუშა. საერთოდ, კომბინატი კი შრომითს მეტოქეობას უწევს ბაქოსა და ერევნის კამვოლურ კომბინატებს. 1748 მშრომელი კომუნისტური შრომის დამკვრელია, ხოლო 954 იბრძვის ამ საპატიო სახელისათვის. კომუნისტური შრომის სახელს ატარებს 97 ბრიგადა, 34 ცვლა, 12 საამქრო, 4 წარმოება. იმათ შორის, ვინც პირადი ხუთწლიანი გეგმები შეასრულა, არიან კომუნისტები ნ. რაიბული, მ. პოლკანოვა, ნ. ვიბლიანი, ს. წიკლაური.

ხარისხი ჩვენი მუშაობის სარკეა, კომბინატის მარკის ღირსებაა. შარშან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გეგმა 0,4 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულეთ. დამუშავდა 40-მდე ახალი ნიმუში, რომელთაგან დაინერგა ექვსი (ძირითადად ქალისა და კაცის საპალტოე ქსოვილი).

ახლა, როცა გაჩაღებულია ენერგიული შრომა პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ვალდებულებათა იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე. ვცდილობთ ეს მუშაობა გავხადოთ უფრო აქტიური, მიზანსწრაფული, სრულად გადავცეთ ფართო მასებს ჩვენი იდეური დამარწმუნებლობის ძალა.

კომბინატში ადრე მომხდარმა საგანგებო შემთხვევამ თვალი აუხილა და ბევრი რამ ასწავლა შრომით კოლექტივს, მის ავანგარდს. ყოველნაირად ვცდილობთ აღვიდგინოთ შელახული სახელი, მაგრამ უფლება არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს, მით უმეტეს, რომ კომბინატში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ცალკეულ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, როგორიც არის შრომის დისციპლინის დარღვევები, წვრილმანი ქურდობა და სხვ., ბოლომდე არ არის დაძლეული ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

**ი. ინანეიშვილი,**
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

## 3. პარტიული გავლენის რეზერვები

განსაკუთრებულ აღმავლობას, რომელიც ჩვენს შრომითს კოლექტივში სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებას მოჰყვა, ცხადყოფს ამ წლის ხუთი თვის შედეგები. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ჯერ კიდევ 21 მაისისათვის 110,5 პროცენტით შესრულდა, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების დავალება — 111,9 პროცენტით. შესრულდა სხვა ძირითადი მაჩვენებლებიც. შრომა დაგვიფასდა. პირველი კვარტალის შედეგებით მეორე ადგილი დავიკავეთ რესპუბლიკის მონათესავე საწარმოთა შორის, ხოლო თბილისის ოქტომბრის რაიონის საწარმოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ.

ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობენ № 4 და № 5 შემკერავი საამქროები, რომლებსაც სამამულო ომის ვეტერანები, კომუნისტები გ. მახარაძე და ბ. კაციტაძე თავკაცობენ. ხუთწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზეა ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა (ხელმძღვანელი — ახალგაზრდა კომუნისტი ლია გოზალიშვილი), რომელმაც ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ შარშან 4 დეკემბრისათვის შეასრულა. შრომაში, საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში მაგალითს იძლევიან კომუნისტი მუშები ნ. მჭედლიშვილი, შ. გვეჩაძე, გ. დავითაშვილი, ლ. ქავთარაძე და სხვები. საერთოდ კოლექტივში არ არის არც ერთი მშრომელი, რომელიც გეგმებს არ ასრულებდეს.

ფაბრიკაში, რომელიც საბჭოთა საქართველოს ხნისაა, კადრების ნახევარზე მეტს მუშაობის 25-30 წლის სტაჟი აქვს. აქ ფართო გავრცელება ჰპოვა დამრიგებლობამ. დამრიგებელი ბევრი გვყავს, მაგრამ მათ შორისაც არიან საუკეთესონი — ს. კურატაშვილი, რ. სოკურაშვილი, მ. ადიბეგოვა, ვ. პისარევა და სხვები. და აი ასე, არა სიტყვით, არამედ საქმით, ყოველდღიურ შრომაში იჩენენ საბჭოთა ადამიანები შრომისადმი, თავისი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს.

შემდგომ განვავითაროთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა, ავამაღლოთ მათი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. აქეთკენ არის ახლა მიმართული ქარხნის დირექციის, პარტიული, საქარხნო და კომკავშირული კომიტეტების მთელი მუშაობა. ადამიანებს წინსვლისაკენ მოუწოდებს ქარხნის ტერიტორიის ყოველ კუთხეში გაკრული ლოზუნგები, მოწოდებები, პლაკატები. სპეციალური ფარებიდან შემოგვცქერიან ქარხნის მოწინავე ადამიანები. ყოველ საამქროსა და ბრიგადაში პოლიტინფორმატორებს მიაქვთ ჩვენი პლანეტის ცხოვრების ახალი, ყველაზე საინტერესო ამბები. 18 აგიტატორი აწყობს საუბრებს თავიანთ მიკროუბნებში. მშრომელთა წინაშე რეგულარულად გამოდიან მოხსენებებითა და ლექციებით როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ძალები. დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას. მოქმედებს მატერიალური წახალისების მწყობრი სისტემა.

ჩვენი შრომითი კოლექტივის იდეური დარწმუნებულობა გამოხატულებას პოულობს მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში. მაგრამ როცა ყოველივე დადებითზე ვლაპარაკობთ, ამასთანავე ვითვალისწინებთ იმასაც, რომ თვით მოწინავე კოლექტივებში (და მათ შორის ჩვენს ფაბრიკაში) არის წარმოების ზრდის, სრულყოფის, ადამიანებზე პარტიული გავლენის ბევრი რეზერვი.

ცხოვრება წინ მიდის. მეტი ფიქრი, მეტი ძიებაა საჭირო. ამაზე მიგვითითებს პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი. საჭიროა მეტი გამოძახილი მივცეთ პოლიტიკურ სიტყვას, გავააქტიუროთ იდეოლოგიურ მუშაკთა საქმიანობა, ღრმად ჩავწვდეთ ადამიანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

**ე. არონიშიძე,**
თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი.

# მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა

## პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

მორიგ პლენუმზე, რომელიც ახლახან საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა გამართა, განიხილეს საკითხი — პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრის, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორის ვ. ხარებავას ანგარიში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და მეათე ხუთწლედისათვის მზადების შესახებ.

ქარხნის დირექტორის ანგარიშმა დიდად დააინტერესა პლენუმის მონაწილენი. კამათის მონაწილეებმა — № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველმა ა. კირტავამ, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ზ. საჯაიამ, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ბოცვაძემ, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის" მუშამ ს. ქარჩხაძემ და სხვებმა საქმიანი სჯა-ბაასი გამართეს, კრიტიკულად შეაფასეს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის გაწეული მუშაობა, წამოაყენეს წინადადებები პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და მეათე ხუთწლედისათვის მზადების შესახებ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების ღონისძიებათა გეგმა.

საქალაქო კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ საავტომობილო ქარხნის დირექციამ, პარტიულმა კომიტეტმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთელი კოლექტივის მობილიზებით უზრუნველყვეს მეცხრე ხუთწლედის ყოველი წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით შესრულება. მე-9 ხუთწლედის განვლილი ოთხი წლისა და ხუთი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით წარმოებული და რეალიზებულია 14 მილიონ მანეთიანზე მეტი პროდუქცია. 1974 წელს ქარხანაში ფონდუკუგებამ შეადგინა 1 მანეთი და 87 კაპიკი, ნაცვლად 1 მანეთი და 70 კაპიკისა, ამაღლდა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი (იგი 95 პროცენტს შეადგენს), მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 1970 წლისათვის 85 პროცენტი იყო. საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი 11-ჯერ გამოვიდა გამარჯვებული.

გარკვეული მუშაობა არის გაწეული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, მოძველებული დანადგარების მოდერნიზაციისა და ახლით შეცვლის, ხელით შრომის ხვედრითი წილის შემცირებისა და სამუშაო ადგილების სწორი ორგანიზაციისათვის.

ქარხნის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობისა და მათი კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. ხუთწლედის ყველა წლებში ბინათმშენებლობის გეგმები გადაჭარბებით სრულდება, გათვალისწინებული 27.476 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 32.363 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახალმოსახლეობა იზეიმა 1000-ზე მეტმა ოჯახმა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ხელფასი 23 პროცენტით გადიდდა.

ქარხანაში სერიოზული ღონისძიებები ტარდება გამოშვებული პროდუქციის საიმედოობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. წარმატებით ხორციელდება ხარისხის მართვის სისტემა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ქარხანა ჩართულია იმ 106 საბაზო საწარმოთა რიცხვში, სადაც უნდა დაინერგოს წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ერთიანი სისტემა.

სკკპ XXV ყრილობის მოწვევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1975 წ.) პლენუმის დადგენილებას დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა მოჰყვა ქალაქის შრომითს კოლექტივებში.

ქალაქის მრეწველობამ ხუთწლედის განვლილი პერიოდის სახელმწიფო დავალება ვადამდე შეასრულა, 4 წელსა და 5 თვეში ზეგეგმით წარმოებულია 57 მილიონ 733 ათასი მანეთის პროდუქცია.

მომავალ ხუთწლედში მუშაობის ხარისხობრივი და ძირითად ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლების გაუმჯობესებისათვის სამაგალითოა ავტომშენებელთა საქმიანობა. ქარხნის კოლექტივმა გამონახა შესაძლებლობა დამატებითი რეზერვების სახით და ძირეული ცვლილებები შეიტანა მეათე ხუთწლედის საკონტროლო მონაცემებში.

მარტო ამ ქარხნისა კი არა, საერთოდ ქალაქის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის წინაშე დიდი პერსპექტივები იშლება. უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია საავტომობილო, ელექტრომექანიკური, ლითოფონის ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს და სხვა საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები სათანადო ანალიზს არ უკეთებენ მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, სუსტად იბრძვიან მისი გაუმჯობესებისათვის. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ნაწილში სიმძლავრეთა გამოყენებისა და ცვლიანობის კოეფიციენტის დაბალი დონე უკანასკნელ [illegible] ფონდუკუგების [illegible] ზოგიერთ საწარმოში არის სასაქონლო მატერიალური ფასეულობათა [illegible] ბანკის [illegible] ნაშთების ზრდის ტენდენცია. ზოგან სათანადოდ ვერ იყენებენ შრომით და მატერიალურ რესურსებს. შარშან პროდუქციის თვითღირებულება ენგურჰესის მშენებლობის საწარმოთა კომბინატში 211 ათასი მანეთით გაადიდეს, ავეჯის ფაბრიკაში — 113 ათასი მანეთით, საკონსერვო ქარხანაში — 92 ათასი მანეთით. ასევე წლეულს 9 საწარმომ ვერ შეასრულა მოგების გეგმა, პირველ კვარტალში რენტაბელობის დაგეგმილი დონე ვერ უზრუნველყო 5 საწარმომ. მოთხოვნებს ვერ უპასუხებს № 4 სამშენებლო ტრესტის საქმიანობა. კვლავ არის მშენებლობის ვადების ჩაშლის, უხარისხო მშენებლობის ფაქტები.

ნაკლოვანებებია სახალხო მეურნეობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ცდილობს უშუალოდ აიღოს ხელთ ამა თუ იმ სამეურნეო საკითხის მოგვარების საქმე, რაც აქვეითებს საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, ინიციატივასა და შემოქმედებას.

პლენუმმა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა ღონისძიებები, და რწმენა გამოთქვა, რომ ქუთაისის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით დაამთავრებენ მეცხრე ხუთწლედს, პირნათლად შეასრულებენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს და ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXV ყრილობას.

**დ. ბედენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.



გუდაუთის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ცხარე დღეებია. მოწინავეთა შორის არის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნორა საქანია. იგი ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ დავალებას 140-160 პროცენტით ასრულებს. მისი მოკრეფილი ჩაის ფოთოლი პირველი ხარისხისაა.

სურათზე: ნორა საქანია.
ს. კოროტკოვის ფოტო.

## საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა ამხ. ა. ი. შადური გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ი. ბ. გამრეკელი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა.

(საქინფორმი).

## „მონკავშირის" გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მონადირეთა და მებადურთა კავშირის („მონკავშირის") გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პირადი განცხადების გამო საქართველოს მონადირეთა და მებადურთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. დ. ციხისთავი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გამოყვანილია პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

„მონკავშირის" გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნ. მ. მელიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გ. გელდიაშვილი.

(საქინფორმი).

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია

25 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების XV მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი თ. მენთეშაშვილი, მდივნად — დეპუტატი ც. კანდელაკი.

დაამტკიცეს დღის წესრიგი:

1. თბილისის საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა და განყოფილებათა გამგეებისა და სამმართველოთა უფროსების დამტკიცება.
4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა და ამ კომისიათა შემადგენლობის დამტკიცება.
5. თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შექმნა და მისი თავმჯდომარის დანიშვნა.
6. ღონისძიებანი ამომრჩეველთა იმ განაწესების შესასრულებლად, რომლებიც გამოითქვა დეპუტატობის კანდიდატებთან არჩევნებისწინა კრებებზე.
7. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სესიამ აირჩია სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალა შეამოწმოს ახლადარჩეული დეპუტატების რწმუნებულებანი. კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცეს დეპუტატი ნ. კომახიძე.

შესვენების შემდეგ სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კომახიძის მოხსენება, რომელმაც სესიას გააცნო ახლადარჩეულ დეპუტატების რწმუნებულებათა შემოწმების შედეგები.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატები, მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომრების ღირსეული წარმომადგენლები. სულ არჩეულია 634 დეპუტატი. მათ შორის 294 — სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 308 — ქალი, 373 — მუშა, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული წარმოებაში.

სესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და ცნო ახლადარჩეულ დეპუტატთა რწმუნებულებანი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს პ. გილაშვილს. მას შეაქვს წინადადება, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი აირჩიონ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი პირველი მოადგილე, სამი მოადგილე, აღმასკომის მდივანი და აღმასკომის 14 წევრი.

დეპუტატ პ. გილაშვილს შეაქვს წინადადება, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიონ დეპუტატი ბ. ლობჟანიძე, სესიამ დაამტკიცა ეს წინადადება.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის წინადადებით პირველ მოადგილეებად აირჩიეს დეპუტატები შ. თოთიბერიძე, ს. რიგვავა, მოადგილეებად — დეპუტატები გ. გოშაძე, ქ. მეგრელიშვილი, ნ. ქვანია, აღმასკომის მდივნად — დეპუტატი დ. ბოკერია.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად აირჩიეს დეპუტატები ა. ყურაშვილი, თ. მენთეშაშვილი, გ. ბაკურაძე, ზ. გილაური, ვ. გუგუნავა, ნ. ებრალიძე, გ. მირიანაშვილი, ვ. ბოროდავკა, ვ. გულისაშვილი, თ. თევზაძე, ი. კობახიძე, ლ. ჭანკოტაძე, გ. თოთიბაძე, ე. ტურძელაძე.

დეპუტატ ბ. ლობჟანიძის წინადადებით სესიამ შექმნა საგეგმო კომისია, 16 განყოფილება, 2 გაერთიანება, 10 სამმართველო და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, დაამტკიცა განყოფილებათა გამგეები, სამმართველოთა და გაერთიანებათა უფროსები, კომისიათა და კომიტეტის თავმჯდომარეები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის გ. გაბუნიას წინადადებით დაამტკიცეს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა. ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი ვ. ჟანჟღავა.

აღმასკომის მდივნის დ. ბოკერიას წინადადებით სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 15 მუდმივი კომისია.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ადეიშვილი, თერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი დეპუტატი ნ. ყიფშიძე, მე-4 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ე. გვანცელაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მ. პაპისოვი, ქარხანა „თბილსელსაწყოს" კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი დეპუტატი რ. დმიტრიევა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე დეპუტატი ლ. აბაშიძე, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ქვეოსტატი დეპუტატი შ. დუმბაძე.

დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებზე ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული განაწესების შესასრულებლად განსახორციელებელ ღონისძიებებზე მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ს. რიგვავამ.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საქინფორმი).

# საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა საბრძოლო ამოცანები

## საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" პლენუმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებამ პარტიის XXV ყრილობის მოწვევის შესახებ, მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციები, აჯამებენ სკკპ XXIV ყრილობის შემდგომ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს და სახავენ ახალ მიჯნებს სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა ლექციურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანების შესახებ დიდი სჯა-ბაასი იყო პლენუმზე, რომელიც 24 ივნისს გაიმართა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ.

მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის ისტორიული ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ს. არგუნი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ბ. მაქაცარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ცოდნის" პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი ი. მირცხულავა, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. გოგინავა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის სამხედრო ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ვ. გაგლოევი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გორის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი ვ. პავლიაშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე მ. ხამადაშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გურგენიძე.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციების მთელ საქმიანობას საფუძვლად უდევს სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრისა და 1975 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებანი, დასკვნები, რომლებსაც შეიცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX და მომდევნო პლენუმების დადგენილებანი.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, იგი უფრო მჭიდროდ უკავშირდება მშრომელთა პრაქტიკულ საქმიანობას. საზოგადოება „ცოდნის" საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს მუშაობას „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა იდეოლოგიურად უზრუნველყონ მიღებული ვალდებულების განხორციელება — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება.

პლენუმის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. ლექციური პროპაგანდის ხარისხი, მისი მიმართულება, ქმედითობა და ეფექტიანობა ყოველთვის როდი შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს დებულებათა პროპაგანდა ჯერ კიდევ ჩამორჩება, განსაკუთრებით ხობის, ახმეტის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონულ ორგანიზაციებში. სუსტად წარმოებს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია (სამხრეთ ოსეთის საოლქო, ჩოხატაურის, ლენტეხისა და სხვა რაიონულ ორგანიზაციებში). უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე ლექციურ-პროპაგანდისტული მუშაობა მესტიისა და ლაგოდეხის რაიონულ ორგანიზაციებში. სათანადოდ არ ზრუნავენ ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის საზოგადოება „ცოდნის" გამგეობასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოები.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმზე საზოგადოების წევრთა ჯგუფს მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მუშაობისათვის გადაეცა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" სამკერდე ნიშნები და საპატიო სიგელები. (საქინფორმი).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# ფაქტები სინამდვილეს შეეფერება

## რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტის" 26 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი „სამართლიანი საყვედურები". წერილში მოყვანილი ფაქტები განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და გვაცნობა, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ნ. ჭითანავას ბრძანებაში ნათქვამია: „აღინიშნოს, რომ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა არ იყო მომზადებული ჩაის ფოთლის კრეფისათვის (აკლდა ფოთლის ხელით საკრეფი აპარატები, 16 სატვირთო ავტომანქანის ნაცვლად იყო 11 ავტომანქანა, აკლდა საბურავები, საჭირო ყუთები, სპეცტანსაცმელი და სხვ.).

ბრძანება ავალებს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელით საკრეფი მანქანები გადასცენ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას, აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობის ფარგლებში, აგრეთვე გამოუყონ საბურავები იმ ანგარიშით, რომ თვითეულ ავტომანქანაზე მოდიოდეს 4 საბურავი. 1976 წლისათვის გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდიდან ჩაქვის საბჭოთა მეურნეობისათვის გადასაცემად გაითვალისწინონ 4 ავტომანქანა. მომავალ ხუთწლედში ჩაქვის მეურნეობაში გათვალისწინებული იქნას საზოგადოებრივი კვების ერთი ობიექტის მშენებლობა.

მიღებული ზომების შედეგად ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას უკვე გადაეცა ორი სატვირთო ავტომანქანა. სხვა ნაკლოვანებებიც სწორდება.

# მსოფლიო დღეს

## საბჭოთა კავშირ-ბელგიის ერთობლივი დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ბელგიის სამეფო, რომლებიც ხელმძღვანელობენ იმით, რომ მათი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ხალხთა ინტერესებს, სურთ ამით ხორცი შეასხან თავიანთი ხალხების მისწრაფებას თანაარსებობისადმი მშვიდობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, მათი პოლიტიკური და სოციალური სისტემების განსხვავების მიუხედავად. დარწმუნებული არიან, რომ სსრ კავშირისა და ბელგიის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების და მშვიდობის დაცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებას და ყველაფერი იღონონ, რათა მიანიჭონ ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი,

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს რომელიც, მისი მონაწილეების შეგადინების მიოხებით, ხელს შეუწყობს მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებას ევროპაში.

ადასტურებენ რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვენის მოლაპარაკებას შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირებისა და ცენტრალურ ევროპაში ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ,

ცდილობენ გააქტიურონ და კიდევ უფრო გააღრმაონ თანამშრომლობა ერთმანეთს შორის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და მეცნიერულ დარგებში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ბელგიის სამეფო თავიანთ ურთიერთობას კვლავაც საფუძვლად დაუდებენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პატივისცემას, რომლებსაც, კერძოდ, შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

2. მხარეები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ორი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის განავითარონ და გააფართოონ თავიანთი ურთიერთობა და თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და მეცნიერულ დარგებში.

3. მხარეები ადასტურებენ თავიანთ განზრახვას შეიტანონ წვლილი ევროპასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში მშვიდობის დაცვისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში და ხელი შეუწყონ ამას ყველა შესაძლო საშუალებით.

4. ორივე მხარე გამოთქვამს რწმენას, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატება, ყველა მონაწილის მიერ მისი გადაწყვეტილებების განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნების მტკიცე მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობის დამკვიდრებას.

5. საბჭოთა კავშირი და ბელგია ეცდებიან, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას ევროპაში დაემატოს დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი სამხედრო დარგში. ისინი ხელს შეუწყობენ შეთანხმებას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირებისა და ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ რომელიმე მხარის უშიშროების უვნებლობის პრინციპის დაცვის პირობებში.

6. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მხარეები უფრო ფართოდ მოაწყობენ სხვადასხვა დონის რეგულარულ კონსულტაციებს ყველა ურთიერთსაინტერესო პრობლემაზე, მათ შორის იმ საკითხებზე, რომლებსაც იხილავენ მრავალმხრივი თვალსაზრისით, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ისინი გამართავენ აგრეთვე კონსულტაციებს, რათა ხელი შეუწყონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგების განხორციელებას იმაში, რაც მათ ეხებათ.

7. მხარეები გამოთქვამენ თავიანთ მისწრაფებას ურთიერთხელსაყრელ და გრძელვადიან საფუძველზე განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური, სამრეწველო, მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობა, რათა მიანიჭონ მას მყარი ხასიათი.

8. მხარეები ადასტურებენ, რომ მზად არიან გააღრმავონ ურთიერთობა კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ისინი ხელს შეუწყობენ იმას, რომ საბჭოთა და ბელგიელმა ხალხებმა, გაიცნონ ერთმანეთის კულტურა და საქმიანობა ტურიზმისა და გაცვლის სხვა ფორმების განვითარების გზით.

9. ამ დეკლარაციის დებულებანი არამც და არამც არ ეხება მხარეების მიერ წინათ იმ საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთა მონაწილენი არიან ისინი.

შედგენილია მოსკოვში 1975 წლის 25 ივნისს, ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ, ფრანგულ და ნიდერლანდურ ენებზე, ამასთან სამივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
**ა. გრომიკო**

ბელგიის სამეფოს სახელით
**რ. ვან ელსლანდი**

## ვიზიტი დამთავრდა

დამასკო. (საკდესი). არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის მოწვევით აქ მყოფმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, დაამთავრა ვიზიტი სირიაში.

ვიზიტის დროს დელეგაციამ გამართა მოლაპარაკება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობასთან, რომლის შედეგად ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის თანამშრომლობის 1975-1976 წლების გეგმას. დელეგაციის მეთაური ბ. ნ. პონომარიოვი მიიღო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა. გამართა აგრეთვე შეხვედრები სირიის კომუნისტური პარტიისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. დელეგაცია ეწვია ქალაქ ილ-კუნეიტრას.

აეროდრომზე დელეგაცია გამოაცილეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა, საერთაშორისო განყოფილების გამგემ ი. ასკარიმ, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრებმა მ. შანანმა და ა. ალ-აჰმედმა, სირიის პროგრესული ეროვნული ფრონტის, აგრეთვე სირიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა. გამცილებელთა შორის იყვნენ აგრეთვე დამასკოში აკრედიტებული მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი.

### პორტუგალია

## მიზანია უკლასო საზოგადოება

ლისაბონი, (საკდესი). „შეიარაღებული ძალების მოძრაობის პოლიტიკური მოქმედების გეგმის ძირითადი დებულებები შეესაბამება მშრომელი კლასებისა და პორტუგალიელი ხალხის მთავარ ინტერესებსა და მიზნებს“, — ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის განცხადებაში. მის მთელ რიგ დებულებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ბედისათვის, ხაზგასმულია განცხადებაში. კერძოდ, პორტუგალიის რევოლუციის მიზნად არის მიჩნეული სოციალისტური უკლასო საზოგადოების შექმნა, რომელსაც საფუძვლად დაედება წარმოების საშუალებათა კოლექტიური საკუთრება.

პორტუგალიის კომუნისტური პარტია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შეიარაღებული ძალების მოძრაობამ დაადასტურა ხალხთან კავშირისა და პოლიტიკურ პარტიებსა და შეიარაღებული ძალების მოძრაობას შორის დადებული შეთანხმების შესრულების საჭიროება.

პორტუგალიელი კომუნისტები მიესალმებიან აგრეთვე რევოლუციური საბჭოს ურყევ გადაწყვეტილებას შექმნას და განამტკიცოს ახალი სახელმწიფო აპარატი, ენერგიული ღონისძიებანი განახორციელოს კონტრრევოლუციური საქმიანობისა და მემარცხენე ექსტრემისტული გამოხდომების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**25 ივნისი**

**ფაქტები**



საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## გამოაცხადეს დამოუკიდებლობა

ლორენსუ-მარკიში, 25 ივნისი. (საკდესი). მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის პრეზიდენტმა სამორა მაშელმა დღეს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და თქვა, რომ იგი გარდაიქმნა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკად. მოზამბიკის დედაქალაქის ათიათასობით გახარებული მცხოვრების წინაშე საზეიმო ცერემონიაზე გამოსვლისას მან მოულოცა მოზამბიკის თავისუფლებისათვის მებრძოლებს და მთელ ხალხს გამარჯვება და მოუწოდა მთელ პროგრესულ ძალებს [illegible]

## თანამეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა

### გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 29-ე სესია

ბუდაპეშტი, (საკდესი). ბუდაპეშტში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 29-ე სესია. სესიაზე იხილავენ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციები, რომლებსაც მეთაურობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე კარლოს რაფაელ როდრიგესი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი მ. მანესკუ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჩულაფიჩი.

სესია გახსნა უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლაზარმა. შემდეგ სესიის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია სოფიის 28-ე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების თაობაზე, მოხსენება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი საინტეგრაციო ღონისძიებათა 1976-1980 წლების შეთანხმებული გეგმის პროექტის შესახებ, მოხსენება სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შემდგომი განვითარების კონცეფციის შესახებ და ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 1976-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის სამუშაოები.

სესიაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ეს სესია, თქვა მან, მიმდინარეობს პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყნებში ჯამდება პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგები. მორიგი ყრილობების წინ, რომლებისთვისაც მზადება მეტ წილ ქვეყნებში დაიწყო, შეგვიძლია დარწმუნებით აღვნიშნოთ, რომ გადაიდგა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური პოტენციალის გადიდებისა და მსოფლიო ეკონომიკაში მისი პოზიციების განმტკიცების გზაზე. კაპიტალისტური სისტემის ეკონომიური კრიზისების ფონზე ამ წარმატებებმა კიდევ ერთხელ უჩვენეს მსოფლიოს გეგმიანი ეკონომიკის ძალა და ცხოველუნარიანობა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წარმატებებს სამეურნეო განვითარებაში ბევრად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის მოძმე პარტიათა და მთავრობათა აქტიურმა და შეთანხმებულმა საგარეო-პოლიტიკურმა საქმიანობამ. სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის საფუძველზე და სხვა მოძმე პარტიათა ენერგიული მხარდაჭერით გაჩაღდა ბრძოლა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ფართო აღიარებისათვის, რომელსაც რეალური შედეგები მოაქვს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, დიდად აფასებენ სამეურნეო თანამშრომლობისა და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების დარგში ერთობლივი საქმიანობის შედეგებს.

ამა წლის მარტში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „მსოფლიო ბაზარზე შექმნილმა საქმეთა მდგომარეობამ არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოახდინოს ჩვენს სამეურნეო საქმეებზე, ვინაიდან სოციალისტურ ქვეყნებს არასოციალისტურ სამყაროსთან საკმაოდ ფართო ეკონომიური ურთიერთობა აქვთ“.

ჩვენს ქვეყნებს აქვთ მძლავრი საშუალებანი, რომ თავიანთი ეკონომიკა დაიცვან მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში მიმდინარე ინფლაციისა და კრიზისის მავნე ზემოქმედებისაგან. ჩვენი აზრით, თქვა დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა, ახლა შექმნილია იმის აუცილებელი წანამძღვრები, რომ უახლეს ხუთწლეულში კიდევ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის შესაძლებლობანი თვითეული ქვეყნის და მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებისათვის.

სესია მუშაობას განაგრძობს.

### ამერიკის შეერთებული შტატები

## ჰ. კისინჯერის განცხადება

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) გამოსვლისას განაცხადა, რომ შეერთებული შტატები განაგრძობს დაძაბულობის შენელების პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც, მისი თქმით, კვლავ რჩება ამერიკის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მეტოქედ. დაძაბულობის შენელების პოლიტიკის გზაზე, თქვა მან, მიღწეულია გარკვეული პროგრესი.

შეეხო რა მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში, სადაც, როგორც მან თქვა, მიღწეულია ეტაპი, „რომელსაც უნდა მოჰყვეს შემობრუნება ან მშვიდობის მიმართულებით ანდა ახალი კრიზისის მიმართულებით“, სახელმწიფო მდივანმა გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი პოზიცია ამ საკითხში.

მან ხაზი გაუსვა, რომ „შეერთებული შტატები უნდა შეეცადოს მაქსიმალურად დაიცვას თავისი ინტერესები ახლო აღმოსავლეთში“, რომლის წიაღში იფარება მსოფლიოში უდიდესი ნავთობის საბადოები. ჰ. კისინჯერი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნაკისრი აქვს ვალდებულება ყოველმხრივი მხარდაჭერა გაუწიოს ისრაელს.

## სურთ გაუსწორდნენ

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის ხელისუფალნი კვლავ ცდილობენ გაუსწორდნენ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა დამცველ თვალსაჩინო მებრძოლს, ორგანიზაცია „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს რასელ მინსს.

ქალაქ სუ-ფოლსში (სამხრეთ დაკოტის შტატი) ფედერალურმა დიდმა ჟიურიმ რ. მინსს წაუყენა შეთითხნილი ბრალდება „თავდასხმა საშიში იარაღის გამოყენებით“. ინდიელი ლიდერის მიმართ ამგვარი აქციის ცინიზმი იმით გამოიხატება, რომ სწორედ თვით რ. მინსი ორი კვირის წინათ დაჭრა პოლიციელმა ქალაქ ბისმარკში (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი). სწორედ რ. მინსზე მოა- [illegible]

### ფოტოინფორმაცია




ამერიკელი მასწავლებლები შეუპოვრად იბრძვიან თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია ნიუ-იორკში განათლების დარგში ასიგნობათა შემცირების წინააღმდეგ. მომავალი სასწავლო წლისათვის უმუშევრად დარჩება ქალაქის 18 ათასი მასწავლებელი.

საკდესის ფოტო.

## ინტერვიუ

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მსხვილი სამრეწველო ობიექტების ერთობლივი მშენებლობა.

თუ რა პრინციპით ხორციელდება იგი, ამის თაობაზე ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მშენებლობის მუდმივი კომისიის საბჭოთა ნაწილის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ა. ბანიჩევს.

მკითხველებს ვთავაზობთ ამ ინტერვიუს.

[illegible]

— ერთ-ერთ რამდენადმე განვითარებულ ფორმას წარმოადგენს მიზნობრივი კრედიტი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ეძლევა მოცემული ობიექტისათვის მასალებისა და მოწყობილობის ან საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სახით, აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყანაში სხვა ობიექტებისათვის მასალების ან მოწყობილობის მიწოდების სახით, ან კიდევ [illegible]

### ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო:

## ინტეგრაცია ღრმავდება

[illegible]

## ტელეტაიპის ლენტიდან

### მოკლედ

**პარიზი**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა ამერიკაში ჩასვლის ვიზაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს რ. პიკეს. იგი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც 26 ივნისს იხსნება ჩიკაგოში.

**ლიმა**

სსრ კავშირისა და პერუს სულ უფრო მტკიცე ნაყოფიერი თანამშრომლობის სიმბოლო უწოდა პერუს ყოველკვირეულმა „სუსესომ“ მსხვილ ჰიდროენერგეტიკულ და საირიგაციო პროექტს „ოლმოსს“, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ხორციელდება საბჭოთა კავშირის დახმარებით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია გიგანტური კომპლექსის აგება, რომელშიც იქნება სარწყავი ნაგებობანი და რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური. „ოლმოსი“ მორწყავს გვალვიანი მიწების ვრცელ ფართობებს და ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ახალ სამრეწველო ობიექტებს.

„ოლმოსის“ პროექტის მნიშვნელობა, აღნიშნავს ყოველკვირეული, როცა საბჭოთა სპეციალისტების წარმატებით მუშაობა ეხე- [illegible]

**ტოკიო**

[illegible]

1545 წელს პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ლორენსუ-მარკიშმა ღუზა ჩაუშვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროს ერთ-ერთ კარგად დაცულ პატარა ყურეში. ტრადიციის თანახმად პორტუგალიელებმა აქ თავიანთი სავაჭრო ფაქტორია და- [illegible]

[illegible] რამ ამ მიმართულებით არა თუ კოლონიებში, არამედ თვით მეტროპოლიაში 1974 წლის 25 აპრილამდე არაფერი არ შეცვლილა.

დემოკრატიზაცია და დეკოლონიზაცია ორგანულად ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ამიტომ იყო, [illegible]

## ვივა ფრელიმო!

### მოზამბიკი — აფრიკის კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო



[illegible]

„კომუნისტის" ინტერვიუ



# ჩემი სულის ინტერნაციონალური დღესასწაული

რამდენიმე კითხვა რასულ გამზათოვს

[illegible]

რატურის დღეების მონაწილე პოეტ რ. გამზათოვს და სთხოვა ეპასუხნა რამდენიმე კითხვაზე.

— როგორია თქვენთვის, როგორც პოეტისათვის საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მნიშვნელობა?

— საქართველოში შეხვედრები ჩემთვის უწინარეს ყოვლისა [illegible]

[illegible] რი დღესასწაული. მე კვლავ შევხვდი სტუმართმოყვარე საქართველოს, ჩემს ძველ მეგობრებს, ლიტერატურაში და შევიძინე ახალი მეგობრები, გულისტკივილის მწარე გრძნობით ვინახულე საფლავები ჩვენგან წასული ჩემი მეგობრებისა, რომლებიც ესოდენ მიყვარდა. მე მიჩვენეს ბე-

[illegible] და ახლდება. გარდა ამისა, ძალიან მადლობელი ვარ საბჭოთა ლიტერატურის დღეების ორგანიზატორებისა იმისათვის, რომ შევძელი შევხვედროდი ჩემს კოლეგებს სოციალისტური ქვეყნების პოეტების ოჯახიდან, გამეზიარებინა შემოქმედებითი გეგმები.

საქართველოში მიამბეს იმ დიდ ძვრებზე, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა რესპუბლიკაში და, კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში. ამ წლების მანძილზე შესამჩნევად გაცხოველდა ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი აქტივობა. გაჩნდა მთელი რიგი ნაწარმოებები როგორც პროზაში, ისე პოეზიასა და პუბლიცისტიკაში, რომლებიც ასახავენ ახალი დროის სუნთქვას, უფრო გულდაჯერებული და პირდაპირი გახდა ქართველი მწერლისა და პოეტის სიტყვა, არაფერი არ ბოჭავს მათს აზრსა და მათს შემოქმედებითს გეგმებს. დიდად გამახარა შეხვედრამ ი. აბაშიძესთან, გ. აბაშიძესთან, რ. მარგიანთან, ნ. დუმბაძესთან, ი. ნონეშვილთან და ქ. კალაძესთან, რომელსაც ჩვენში სიყვარულით შეარქვეს კარლო მახაჩკალაძე.

ამჟამად ვმუშაობ „ჩემი დაღესტნის" მე-3 წიგნზე. ბევრს ვმოგზაურობ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მოგზაურობა და ყოველდღიური ფუსფუსი ბევრ დროს მართმევს. მინდა მეტს ვწერდე. ვიყო ხალხთან, რომლისგან ვიღებ შთაგონებასა და სიცოცხლის სიხარულს.

ხუმრობით ვეკითხებით რ. გამზათოვს, დავით გურამიშვილის ანალოგიაზე ქართველ პოეტთაგან ვის მოიტაცებდა, ასეთი შესაძლებლობა რომ მისცემოდა. რასულ გამზათოვს ეღიმება და თავისი ჩვეული იუმორით გვიპასუხებს: არ მინდა ვაწყენინო ჩემს ქართველ კოლეგებს — პოეტებს და, როგორც ჯიშით მთიელი, ვინმე შავთვალა ქართველი მზეთუნახავის მოტაცებას ვამჯობინებდი.

დასასრულ რასულ გამზათოვმა გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის პატარა ბარათი გადმოგვცა. აი ისიც:

„დაღესტნის მთებიდან, კასპიის ზღვის ნაპირებიდან ჩამოვიტანე მშვენიერი საქართველოს მიმართ სიყვარულისა და მადლობის უსაზღვრო მხურვალე გრძნობები. ბედნიერი ვარ ეს კეთილი სურვილები გადავცე ჩემს მეგობრებს გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით. გაზეთის მკითხველებს კი ვუსურვებ იმდენ სიხარულს, რამდენსაც ისინი არგუნებენ თავიანთ ხალხს და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს.

თქვენი რასულ გამზათოვი.

25/VI 75 წ."

## უკუვაგდოთ დრომოჭმული ჩვევები

ჩვენში გავრცელებული გაზვიადებული ქორწილებისა და ქელეხების თაობაზე ძალიან ბევრი რამ დაიწერა და კვლავ იწერება პრესაში. ჩვენი ხალხი სამართლიანად გმობს ასეთ ქელეხებს, ქორწილებს, ანგარებისა და გამორჩენის მიზნით მოწყობილ წვეულებებს, უზომო ღვინის სმას, საზღვარსგადაცილებულ ღრეობას და სამართლიანი გულისტკივილით მოითხოვს არა მათ ხელაღებით მოსპობას, არამედ ზომიერებას, ზომიერებას და კიდევ ზომიერებას.

იმ უამრავ წერილიდან, რომელსაც ამ საკითხებთან დაკავშირებით ყოველდღიურად გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იღებს, რამდენიმეს, შედარებით ტიპობრივს გამოვარჩევთ.

ოჩამჩირელი მასწავლებელი დ. შამათავა შეშფოთებული წერს:

„ქორწილისა და დასაფლავების რიტუალის მთლიანად უარყოფა არ იქნება სამართლიანი, მაგრამ რა საჭიროა ხეფები და ქუჩების გადატვირთვა ქელეხისათვის?" და იქვე დასძენს: „თათბირზე მივდიოდით სოხუმში, გავიარეთ სოფელი ცაგერა. სასოცარი სანახავი იყო სასაფლაო, დღისით-მზისით ელექტრონათურების სინათლე ეჯიბრებოდა მზის სხივებს. რა საჭიროა სასაფლაოს გადაქცევა დაბად, მისი განათება ან საფლავის თავზე პურმარილით დატვირთული სუფრის გაწყობა. მკვდრები რომ არ ჭამენ, ეს ვინ არ იცის ჩვენს დროში?! გაჭიმული ქორწილები, ქელეხები, და-

რამ პანაშვიდი (გამოტირება) აქვე მოუწყო. დასვა კაცი შესაწევრის ასაღებად (შესაწევარს, რა თქმა უნდა, ჩვენი სოფლის სკოლაში მოსიარულე ბავშვების მშობლები და ამ სკოლის მასწავლებლები გამოიღებდნენ — ხომ უნდა დაეფასებინათ თავიანთი დირექტორი). ეს პირველი ცერემონია რომ დამთავრდა, მიცვალებული მეუღლის სოფელში წაასვენა და იქაც იგივე ამბავი გაიმეორა. მერე (ძველები იტყვიან ხოლმე, ღმერთი სამობით არისო) ამ ვაიდირექტორმა მიცვალებული მამა თავის სოფელში წაასვენა და აქაც შეაგროვა შესაწევარი. მხოლოდ ამის შემდეგ გაუყენა სასაფლაოს გზას. მაშინ არ მიფიქრია, თუ ამ ამბის საშეოზე გამოტანა დამჭირდებოდა, თორემ ამბის მომყოლის სადაურობასაც გავიგებდი და იმ დირექტორის სახელსაც. თუმცა, თუ ამ ამბავს დაბეჭდავთ, განა ის დირექტორი ვერ მიხვდება, რომ მასზეა ლაპარაკი? ანდა, ვინც იმ ამბებს დაესწრო, ხომ ახსოვთ, ვის ეხება და დაეჯერო, არავინ გაამხელს იმ დირექტორის ვინაობას? (სკოლის დირექტორი რომ გარდაცვლილ მამას იოლი შემოსავლის წყაროდ აქცევს, ამაზე მეტი უხამსობა რაღა უნდა იყოს! ასეთი კაცი დირექტორად თუ დაწესებულების ხელმძღვანელად არ უნდა მუშაობდეს ჩვენს დროში!).

ზა, მაგრამ ქერივ-ობლისა, გაჭირვებულისა. ახლა პირიქით ხდება, სჯამიან კაცს სცემენ პატივს. დავეხმაროთ იმ ოჯახს, ვისაც მარჩენალი ომში დაეღუპა, დავეხმაროთ მოხუცებს, თუ მიმხედავი არავინ ჰყავთ, დავეხმაროთ დამეწყრილს ან სხვა რაიმე სტიქიური უბედურებით დაზარალებულსო.

საზოგადოებისათვის მავნე მოვლენების, დრომოჭმული და უკუსაგდები, პოზიტიური ამბების საჭირბოროტო საკითხებს ეხმაურებიან: ვ. ქურასბედიანი, გ. გულისაშვილი, გ. დევდარიანი, ლეილა მუმლაძეკალაძისა, ჟ. ჯანელიშვილი, ლ. ხინგავა, ფ. ლომსაძე, ა. კუჭავა, ვ. მარდალეიშვილი, ი. აბრამიშვილი, ვ. შანიძე, გ. კორძაძე, ვ. სამთელაძე, გ. მარჯანიშვილი, ო. რეხვიაშვილი, ვ. კოტრიკაძე, ნ. კვიტაიშვილი, ტ. შარაბიძე, ალ. ჭანტურია, მ. ცქიფურიშვილი, ბ. ბაქრაძე, ი. კვარაცხელია, ვ. ლომსაძე, მ. იჩქიტიძე, ა. ბექაური, გ. მხეიძე, ა. ქემოკლიძე, გ. სურგულაძე და სხვები. როგორც ისინი აღნიშნავენ, სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ ზოგჯერ თვითონ პასუხისმგებელი მუშაკები და სოფლის თავკაცებიც მონაწილეობენ დიდი ქელეხის გამართვაში. ხომ გადაეჩვია ხალხი მიცვალებულთან გვირგვინების მიტანას? ახლა ასევე საჭიროა ახლად გაჩენილი ვაიწეს-ჩვეულებათა აღმოფხვრა, თუნდაც იმიტომ, რომ ამან მომავალი თაობების აღზრდაზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს, რაკი გვირგვინზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე დავძენთ: ზოგმა ბოლო ხანს იგი შეცვალა ე. წ. „კალათის" მიტანით, რაც გვირგვინზე ძვირი ჯდება და უფრო უკუღმართ ბუნებასაც იძენს.

# ზომიერების ფასი

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

უმნიშვნელო დაბადების დღეები გადახდა, რელიგიური რიტუალები ზიანს აყენებს ახალგაზრდობას"...

თბილისელი ინჟინერი ბ. [illegible] აღწერს, თუ რა მახინჯი ფორმა მიიღო ჩვენში მიცვალებულის დაკრძალვის წეს-ჩვეულებამ:

„ვერავინ უარყოფს, მიცვალებულს პატივით რომ უნდა დაკრძალვა, მაგრამ ვერაფერი პატივისცემაა მისი დაკრძალვისას გალეშვა. გამოასვენებენ ასეთი ზარხოშიანი ბიჭები მიცვალებულს და დაატარებენ ეზოში — სამჯერ უნდა შემოვატაროთო. ზოგს კი მოზრდილი ეზო აქვს... მერე ხშირად ჭურ-მარანშიც შეაქვთ, უკრავს ორკესტრი ლეკურს და ოთხი კაცი იწყებს უთავბოლოდ როკვას ხელში კუბოთი. ამაზე მეტი გამასხარავება მიცვალებულისა თუ ჭირისუფლის სანუგეშებლად მოსული ხალხისა, იქნება?"

ცხაკაიელი ქ. ჭანტურია აღნიშნავს, რომ ახლანდელი გასვენების წეს-ჩვეულება წესი კი არა, მავნე და სამარცხვინო უწესობაა, რაც, სამწუხაროდ, როდი მცირდება, უფრო ძლიერდებაო. დასამალავი არ არის, ბევრს ხელფასის ნახევარიც ვერ მიაქვს ოჯახში და დანაკლისს მითვისება-გაფლანგვით, მომხმარებელთა მოტყუებით ან სხვა უზნეობის ჩადენით ივსებსო. ორმოცები და წლისთავები იგივე ქორწილია, ცეკვა-სიმღერაღა აკლია. აქ რომ პირუტყვი და ფრინველი იკვლება უკონტროლოდ, ეს აძვირებს ბაზარს: ვისა ჰყავს ხუთასექვსასი მეგობარ-ნათესავი, რომელსაც მიკროფონით უნდა უთხრას სადღეგრძელო? საქართველოში უმრავლესობას არა აქვს ასეთი უაზრო ხარჯვის სურვილი, მაგრამ... ერთმანეთისა გვერიდება და უარყოფა ვერ მოგვიხერხებიაო. საჭიროა მკაცრი სასჯელის დაწესება, იქნებ მერე მოვიდეთ ჭკუაზე.

ძალიან ბევრი ჩივის, რომ შინ ჯამაგირი ველარ მიუტანია, რადგან თვეში რამდენჯერმე უხდება საჩუქრისათვის ან შესაწირავისათვის ფულის დადება.

აი, რას წერს მასწავლებელი ვ. ჩიტიძე (ტყიბული, ს. ორპირი): „ქართული ქორწილის, გასვენების, ლოთობების, ახალმოსახლეობის, ქეობებისა და სხვა საუკეთესო ტრადიციები სამარცხვინოდ ვაქციეთ... თვითეულ ჩვენგანს თვეში 3-4-ჯერ გვიხდება მონაწილეობა ასეთ გადაჭარბებულ ღრეობებში და ჩემი ხელფასი ამ ამბებში იხარჯება.

ზოგჯერ, რასაც საჩუქარს ეძახიან ნამდვილად საჩუქარი როდია, იგი საჩუქრის ნიღაბში გახვეული ქრთამია.

აი, ამაზე რას გვიამბობს თბილისელი [illegible] ომიაძე:

„ერთ ქელეხს დავესწარი. იქ ერთი კაცი ასეთ ამბავს მოგვიყვა: ჩვენს სოფელში საშუალო სკოლის დირექტორს მამა გარდაეცვალა. დირექტორი ჩვენებური არ იყო, მაგ-

ფიცე თქმის ზედმეტად გაბერილ ქორწილებზეც. აბა, რად ვარგა ისეთი ქორწილი, სადაც ყველა ყვავისა და ჩხიკვის მამიდაშვილები შეიყრებიან ერთად, რომლებიც არ იცნობენ ერთიმეორეს და არც ესმით ერთმანეთისა, რის გამოც ხშირად ხდება დანის ტრიალი და ადამიანის სიცოცხლე ეწირება ქორწილს. ერთი ბედნიერდება, მეორე უბედურდება. ვის სჭირდება ასეთი ქორწილი?!"

ე. ომიაძემ იქნებ განგებაც არ გაამხილა იმ ვაიდირექტორის სახელი და ეგებ ჩვენც საშეოზე არ გამოგვეტანა ეს ამბავი მისი დოკუმენტური უზუსტობის გამო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი ადამიანები ხომ ჯერ კიდევ გვხვდებიან!

„ზოგი დაბადების დღეს ან ქორწილს მხოლოდ იმიტომ იხდის, რომ ხალხი გაატყაოს, ქელეხებზეც უამრავ ხალხს ეპატიჟება, რომ გამდიდრდეს". — ჩივის მცხეთელთა დიდი ჯგუფი.

მ. გლაზუნოვა მოგვითხრობს:

„ხშირად ჩვენებური ქელეხი ქეიფად იქცევა. დუშეთის რაიონის სოფელ თძისში როგორც კი ვინმე გარდაიცვლება, ჯალოთებული წუწკი კაცები დამწკრივდებიან და მიდიან პირდაპირ იმ ოთახში, სადაც „შესანდობარს" სვამენ. ზოგმა, შესაძლოა, სამი-ოთხი დღე მიცვალებულთან არც შეიხედოს, „შესანდობარის" დასალევად კი ყოველ დილა-საღამოს მიცუნცულობს. ერთხელ ისიც ვნახე, რომ მიცვალებულის მოგვარე მეზობელი კაცი მოვიდოდა დილით გარდაცვლილის ოჯახში, კარგად ისაუზმებდა, აქედან თავის ვენახში სამუშაოდ წავიდოდა, მერე კი ისევ ამ ოჯახში მოდიოდა სავახშმოდ. ეს არის მიცვალებულის და ჭირისუფლის შებრალება და ნუგეში?"...

ეს რომ დასაგმობია, ამას მთავრობის დადგენილება უნდა?

დავით ჟორჟოლაძე (ტყიბული, ს. ჭყვპი) სამართლიანად მიიჩნევს, რომ ამგვარი ამბები „ჩირქს სცხებს ადამიანის სიცოცხლეს და... მიცვალებულსაც აღარ აყენებს მიწაში გაულანძღავად". შემდეგ დასძენს: დღევანდელ ქელეხთან დაკავშირებული ამბები (გადასახურავი, საკურთხი, ორმოცი, საწლო და წირვა-კურთხევა) იშმაკებისა და ლოთების მოგონილია. სამარცხვინოა ქელეხზე შეგროვილი ფულის დასტა-დასტად დაწყობა — „შეპაჭკვა". ვერც ქელეხი და ვერც ლოცვა-კურთხევა მიცვალებულს ვერ გააცოცხლებს. სახელს კი უფუჭებს. ქელეხი ვერ დაახსომებს ხალხს ამა თუ იმ მიცვალებულის სახელს, მას მხოლოდ თავისი საქმე უკვდავყოფს. წინათაც იცოდნენ დახმარე-

ლის ერთი, ვისაც მეტს მოასმენს...

გადაჭარბებული და ზედმეტი ყველაფერი საზიანოა არა მარტო ერთი ადამიანის, მთელი ერის ორგანიზმისათვის. გახშირდა უზომო ღვინის სმა და ზოგს ლოთობის სენიც კი შეეყარა. არცერთი ხალხი ასე ხალხმრავალ ქელეხს არ იხდის და ჩვენ ვითომ ვინა ვართ? ზოგისთვის სულ ერთია ქორწილი და ქელეხი, ოღონდ ღვინო დალიოს. ზღაპრული ქორწილებით და წრეგადასული ქელეხებით ერთეულები მდიდრდებიან და ათეულები ღარიბდებიან. ამ უკუღმართი ამბების მოშლა ხელს არ აძლევს წყალწყალა ღვინის გამსაღებლებს, ჯამ-ჭურჭლის, მაგიდასკამების და კარავ-ბრეზენტების გამქირავებლებს. ადრე თუ დაბა-ქალაქებში საგანგებო გამქირავებელი პუნქტები ასრულებდნენ ამ მოვალეობას, ახლა კერძო პირებმაც გაიჩინეს ამგვარი ინვენტარი და ისინი აქირავებენ, დამშლელი კი არავინ ჰყავთ. სოფლის თავკაცები ასეთ ხალხს ხშირად თვითონვე მფარველობენ. ზოგჯერ სოფლების თავკაცები თვითონ არიან ასეთი სუფრების თამადები.

ბევრს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ახე რომ გახშირდა ხუთასექვსას კაციანი ქელეხის გამართვა რესტორანში. ზოგჯერ აქ ერთ დარბაზში ქელეხის ხალხი ზის, მეორე დარბაზში კი დისერტანტის დამლოცველნი. დისერტანტის სუფრაზე მღერიან, ეს ესმით ქელეხის სუფრაზედ და ზოგი ღვინოსმიძალებული აქაც დგება სიმღერის გუნებაზე. შეიძლება ეს? ეს არის ტრადიცია? ასეთი რამ ჩვენს მამა-პაპას არც დაესიზმრებოდა, ხოლო სასფლავიდან წამოდგომა და ამის დანახვა რომ შესძლებოდა, შეგვაჩვენებდა: ქელეხში ღრეობა ვის გაუგონიაო! ქართული სუფრა განთქმული იყო სილამაზით, შინაარსით, ჩვენებური პურის ჭამა ხიბლავდა ყველას, მერე კი, პ. კერვალიშვილის აზრით, მომხვეჭელებმა აღარ იცოდნენ, სად და როგორ დაეხარჯათ არმად ნაშოვნი ფული. იგონებდნენ ნაირნაირ წვეულებას, იმ ადამიანებს, ვინც სჭირდებოდათ თავიანთი ბნელი საქმეების გასაჩარხავად, თვითონ, ასე ვთქვათ, საკუთარი სახსრებით, უხდიდნენ დღეობას, ნათესავის ქელეხს, შვილის ძეობას, ნათლობას თუ დაბადების დღეს, ეძებდნენ ყოველგვარ საბაბს ძვირფასი საჩუქრების მისართმევად, რომ მერე მფარველობა ეთხოვათ, იმ საჩუქრებში დახარჯული ფული მოგებით დაებრუნებინათ ვიღაცის ხარჯზე, ხშირად სახელმწიფოს ხარჯზეც. ზოგი თავის მფარველ უფროსს „ვოლგასაც" კი მიართმევდა ფეშქაშად, აგარაკსაც აუშენებდა.

უნდა ვებრძოლოთ, ყოველნაირად უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე გადმონაშთებს. საზოგადოების აზრია — დასაგმობი დავგმოთ!

დღეს, როცა შეურიგებელი ბრძოლაა გაჩაღებული ცხოვრების ყოველგვარი მახინჯი გადმონაშთების წინააღმდეგ, გადაჭარბებულ ქელეხებს, ხალხმრავალ ქორწილებს და ანგარების მიზნით მოწყობილ წვეულებებსაც უნდა მივხედოთ და მავნე მოვლენები აღვკვეთოთ.



## კუმისის თევზი

თბილისის მახლობლად, გარდაბნის რაიონში მდებარეობს კუმისის ტბა. იგი 400 ჰექტარზეა გადაჭიმული, ახლო წარსულში იგი ძლიერად იყო დამლაშებული. ამ ბოლო წლების მანძილზე განხორციელდა ტბის გამტკნარების ღონისძიებანი. ახლა იქ წარმატებით აშენებენ კობრს, თავდიდას, თეთრ ამურს, კუმისის თევზის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი საუკეთესოა „საქთევზმრეწვის" სამმართველოს სისტემაში.

სურათებზე: ზემოთ — მებადური ნიკოლოზ ხელიკოვი; ქვემოთ — თევზის ჭერა კუმისის ტბაში.

ი. დავითაშვილისა და ნ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



შემთხვევა

## ველოსიპედით მდინარეში

ჯავის რაიონის სოფელ ჭალაბეთში მცხოვრები ვიტალი ჯუსოევი ველოსიპედით წავიდა საჩხერის რაიონის სოფელ პერევისაში. მას გზად ედო პერევში ბაქრაძეების უბანში მდინარე ლებურაზე უმოაჯირო, ხის უვარგისი ხიდი,

უკან დაბრუნებისას ვიტალი ველოსიპედიანად ხიდიდან მოდიდებულ მდინარეში გადავარდა. ეს შეამჩნიეს ხიდის ახლოს მცხოვრებმა პერეველმა მ. ბაქრაძემ და ქართმანელმა ს. ჯოხაძემ. მდინარემ ვ. ჯუსოევი გაიტაცა. მიშა და სიმონი სირბილით გაჰყვნენ მდინარის ნაპირს, ცოცხალმკვდარი ვ. ჯუსოევი სამშვიდობოზე გამოიყვანეს, გაუწიეს პირველი დახმარება და სიცოცხლე დიუბრუნეს.

ა. ანასაშვილი.

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР

## ყველა ფინალისტი ცნობილია

[illegible]

51:14, უზბეკეთი-ესტონეთი — 26:9, მოლდავეთი-ყირგიზეთი — 43:11.

ამრიგად, პირველ ფინალურ ჯგუფში ქალთა გუნდებიდან მოხვდნენ: უკრაინის, უზბეკეთის, რსფსრ-ის, აზერბაიჯანის, მოსკოვისა და ლიტ[illegible]

[illegible] სა და უზბეკეთის გუნდები.

მესამე ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ — ყაზახეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის გუნდები.

ხელბურთელთა ფინალური ტურნირები 29 ივნისამდე გაგრძელდება.

## ერთი ტურით ადრე...

რიგა. 25 ივნისი. (ტელეფონით). დიდ კალათბურთს მასპინძლობს ლატვიის დედაქალაქი, აქ მიმდინარეობს დასკვნითი შეხვედრები ფინალურ ჯგუფებში. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრშია პირველი ფინალური ჯგუფის მატჩები, სადაც თამაშდება საპრიზო ადგილები.

ბრძოლის მაღალი ოსტატობით გამოირჩევა ლატვიის ნაკრები, რომელმაც პირველ ფინალურ ჯგუფში ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო და ერთი ტურით ადრე გაინაღდა სპარტაკიადის ჩემპიონობა. უკანასკნელისწინა მატჩი ლატვიელებმა მოუგეს რსფსრ-ის გუნდს — 65:53. ბოლო შეხვედრა უკვე სპარტაკიადის ოქროს ჩემპიონს — ლატვიის გუნდს ჰქონდა 25 ივნისს საღამოს უკრაინის ნაკრებთან.

აი გუშინდელი სხვა მატჩების შედეგები: უკრაინა-ყირგიზეთი — 98:66, ბელორუსია-ესტონეთი—55:49, ლიტვა-მოლდავეთი — 60:51, ყაზახეთი-უზბეკეთი — 68:45, ტაჯიკეთი-აზერბაიჯანი — 72:75, სომხეთი-საქართველო — 58:77, მოსკოვი-ლენინგრადი — 66:86.

### იალქნები, რგოლები, ლიდერები

ტალინი. 25 ივნისი (ტელეფონით). ფინეთის ყურე აფროსანთა დიდი ასპარეზობის არენა გახდა. სპორტსმენებს პაექრობა აქვთ სხვადასხვა კლასის იალქნებით. სულ ყოველი კლასის იალქნით ოლიმპიურ დისტანციაზე უნდა მოეწყოს 7 რბოლა.

განვლო ასპარეზობის რამდენიმე დღემ. სამი რბოლის შემდეგ „ფინის", „470-ის", „მფრინავი ჰოლანდიელის", „ტორნადოს", „სოლინგისა" და „ტემპესტის" კლასის იალქნებით ასპარეზობაში შესაბამისად ლიდერები არიან: ბალაშოვი (მოსკოვი), აკსენოვი (უკრაინა), ლეონტიევი (მოსკოვი), ჩიჟოვი (უკრაინა), ბერდაში (ლატვია), მანკინი (უკრაინა).

### გუნდები, ქულები, ადგილები

ათი სახეობის შემდეგ

| | | |
|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 4.923 |
| 2. | უკრაინა | 4.235 |
| 3. | მოსკოვი | 3.932 |
| 4. | ლენინგრადი | 3.110,5 |
| 5. | ბელორუსია | 2.619 |
| 6. | ყაზახეთი | 1.743 |
| 7. | საქართველო | 1.596 |
| 8. | უზბეკეთი | 1.433 |
| 9. | ლიტვა | 1.364,5 |
| 10. | ლატვია | 1.299 |
| 11. | მოლდავეთი | 1.172 |
| 12. | აზერბაიჯანი | 1.026 |
| 13. | ესტონეთი | 969 |
| 14. | სომხეთი | 952 |
| 15. | ყირგიზეთი | 821 |
| 16. | ტაჯიკეთი | 781,5 |
| 17. | თურქმენეთი | 480 |

ცხრილში შეტანილია 1973 წლის ახალგაზრდული სპორტული თამაშების ქულები.

ფეხბურთი

## კვლავ ფრე

ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი გამართეს პერმში ადგილობრივ „ზვეზდასთან". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ამ ტურში დამარცხდნენ ლიდერები: „ნეფტჩიმ" წააგო ზაპოროჟიეში „მეტალურგთან" — 0:1, ხოლო „კაირატმა" — კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან" — 0:2. „ტავრიამ" და „ნისტრუმ" ფრედ — 1:1 ითამაშეს შესაბამისად ივანო-ფრანკოვსკში „სპარტაკთან" და ხარკოვში „მეტალისტთან".

[illegible] გიერი" — 1:0; ფერგანას „ნეფტიანიკი" — ლანჩხუთის „გურია" — 3:3; თერმეზის „ავტომობილისტი" — გორის „დილა" — 4:0; ჯიზაკის „ჯიზაკი" — რუსთავის „მეტალურგი" — 1:0.

ჩოგბურთი. მოსკოვში ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობს რკინიგზელ სპორტსმენთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელიც ოლიმპიური თამაშების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. უკვე დამთავრდა გუნდური პირველობა. 13 ნაკრებს შორის უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები. ახლა ბრძოლაში ებმება 52 ჩოგბურთელი, რომლებიც პირად პირველობას გაათამაშებენ.

მძლეოსნობა. კარგი შედეგი — 2 მეტრი და 21 სანტიმეტრი აჩვენა მოსკოველმა სიმაღლეზე მხტომელმა ვლადიმირ აბრამოვმა დედაქალაქის პირველობაზე. კარგად გამოვიდა აგრეთვე სამმაგ ხტომაში გენადი ბესონოვი — 16 მეტრი და 31 სანტიმეტრი.

## 33 თვე... დუმდა

გაუთავებელი სენსაციებისა და ტრიუკების მოყვარულმა ბობი ფიშერმა, რომელმაც, როგორც ცნობილია, თავი აარიდა საბჭოთა დიდოსტატ ა. კარპოვთან შეხვედრას და ამით უბრძოლველად დათმო საჭადრაკო გვირგვინი, კარგახნის დუმილის შემდეგ კვლავ ამოიღო ხმა. ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველებს დააინტერესებს ი. რომანოვის ეს ინფორმაცია, რომელიც გაზეთ „იზვესტიიდან" არის გადმობეჭდილი.

33 თვის კარჩაკეტილობის შემდეგ ლოს-ანჯელესში, ბობი ფიშერმა, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ჭადრაკში, ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ფიშერმა შეატყობინა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ წევრს, რომ უბრუნდება ჭადრაკის სამყაროს და აპირებს შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონ ანატოლი კარპოვს. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აპრილში ფიშერმა საჭადრაკო გვირგვინი დაუთმო საბჭოთა დიდოსტატს, არ გამოგზავნა თანხმობა მასთან შეხვედრაზე და არც ასეთი საქციელის მოტივები ახსნა.

ახლაც ფიშერი ფიშერად დარჩა. იგი იმდენად იმაზე კი არ ლაპარაკობს, რომ თამაშს აპირებს, არამედ არჩევს ახლად გამოგონილ პირობებს, რომლებიც თითქოს მას, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს; აკმაყოფილებს. ამასთან ერთად იგი კატეგორიულად აცხადებს უარს ითამაშოს მანილის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონ ანატოლი კარპოვის გამოსვლაა ნავარაუდევი.

თავის დროს კარპოვმა, [illegible] მსოფლიოს ჩემპიონობის მინიჭების შემდეგ, თქვა, რომ მზად არის შეხვდეს ფიშერს. ამერიკელს ეს არასაკმარისად ეჩვენება და შუამავლების მეშვეობით განაცხადა, რომ საბჭოთა მხარემ „არ გააკეთა უკანასკნელი დათმობის სვლა". დაგვრჩენია მხოლოდ ვიმარჩიელოთ, როგორი მორიგი სვლა „გააკეთა" თვით ფიშერმა. ყოველ შემთხვევაში, ფრანს პრესის ცნობით, ფიშერი, თურმე ნუ იტყვით, წინააღმდეგი არ არის... ესაუბროს ანატოლი კარპოვს, თუ კი იგი მას სახლში დაურეკავს.

გამოდის, რომ საკმაოდ ძოლი ამბავია: საკმარისია მხოლოდ ტელეფონის ნომრის გაგება, რომელსაც ფიშერი 33 თვე არ ეკარებოდა.

## თ. მიქაძე



გარდაიცვალა სკკპ წევრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი თეიმურაზ ათანასეს-ძე მიქაძე.

თეიმურაზ მიქაძემ დაამთავრა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო 1949 წელს კი — მოსკოვის კინოინსტიტუტი. ამ დროიდან მოყოლებული მისი სიცოცხლე ქართულ საბჭოთა კინოს დაუკავშირდა.

ჯერ მან მხატვარ-მულტიპლიკატორად დაიწყო მუშაობა თბილისის კინოსტუდიაში და თავისი წვლილი შეიტანა ქართული ნახატი ფილმების პირველ გამარჯვებებში. მისი რეჟისორობით შეიქმნა ამ ჟანრის თვალსაჩინო ნაწარმოები „მზეჭაბუკი".

1955 წლიდან თეიმურაზ მიქაძე მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმების რეჟისორად მუშაობდა. აქ უფრო ნათლად გამოვლინდა მისი რეჟისორული უნარი, გემოვნება და მხატვრული ალღო. ბევრი კარგი სურათი შეიქმნა მისი მონაწილეობით. მათ შორის — საყოველთაოდ აღიარებული ფილმები: „ჩვენი ეზო", „საბუდარელი ჭაბუკი", „ჯარისკაცის მამა".

1966 წელს იგი თბილისის კინოსახლის დირექტორად დაინიშნა, ხოლო 1970 წლიდან სიკვდილამდე საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. მეოთხედი საუკუნე მოკრძალებით, უხმაუროდ და ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზ მიქაძე ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას.

თ. მიქაძე არჩეული იყო თბილისის კალინინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ქართველ კინემატოგრაფისტებს თეიმურაზ მიქაძე ახსოვდებათ, როგორც ნიჭიერი შემოქმედი, კარგი ორგანიზატორი, გულთბილი და გულისხმიერი მეგობარი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი".

### ტელევიზია

26 ივნისი

პირველი პროგრამით

11.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიმიტრი კაბალევსკი", 12.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მოსკოვი — კასიოპეა", 16.25 — გადაცემა „ირაკლი აბაშიძე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.55 — ეს ყველამ უნდა იცოდეს, 18.15 — ბავშვებისათვის — „დავფრთიანდით, დავიზარდეთ..." 18.50 — გამარჯვებული შრომის ზეიმი, 19.05 — შეხვედრა აბიტურიენტებთან. ქართული ენა და ლიტერატურა, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ეტალონთა კლუბი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ნაგაზები" — პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 19.05 — ქალის საერთაშორისო წელი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დუდინსკაიას კლასი", 19.50 — ფერადი ტელევიზია — „მუსიკალური ფოსტა", 20.45 — განცხადებები, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „წარსულს ვერ დაიბრუნებ".

### რადიო

27 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მ. ბიიშუსა და ნ. კონდრატიუკის კონცერტი, 11.45 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე", 12.15 — უკრავს მ. იაშვილი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ხალხური ლექსები, 12.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდობის შემოქმედება" — მღვრის სოფელ ჭრებალოს თვითმოქმედი ანსამბლი „ასკრიონი", 17.40 — მოსწავლეთათვის. ლექსები ზაფხულზე, 18.05 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე" 18.45 — ს. კაცი. სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა". 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.45 — სიმღერები ჯ. დათუაშვილის შესრულებით, 20.20 — მ. გლინკა — საორკესტრო პიესა „კამარინსკაია", 20.30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ქართული კამერული მუსიკა, 21.40 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 23.30 — ვ. მოცარტი. ნაწყვეტები ოპერა „ჯადოსნური ფლეიტიდან" 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ნუ ჰკითხავთ, ნუ ვაიცდებით

### თეატრები

26 ივნისი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ-მალ-ალანი.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი

მისამართი: თბილისი-98 ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 99 98-03 99 03-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61 პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-84. სოფლის მეურნეობის — 99 62-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-24-54

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 03811

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14